



# მწყმისი



მე ვარ მწყმისი კეთილი: მწყმისმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვაოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოკვდიოთ ჩემდა უოველნი მასურალნი და ტვირთ-მიმეზო და მე განვისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 13

1883—1894

1—15 ივლისს.


შინაარსი: ნუ თუ მიუცილებლად საჭიროა მრავალ ადამიანთა მსხვერპლი ზოგიერთ წინდაუხედველობის შესამჩნევად?—მწარე ფიქრები.—წერილი რედაქტორთან.—პასუხი ნ. ნიკოლაძის მოსარჩლეს ბ. დ. დევიძეს.—ახალი ამბები და შესწავნები.—წერილი რედაქციის მიმართ.—ღვთისმშობლის მაცვალება (ლექსი).—საეჭვო კითხვების განმარტება.

ნუ თუ მიუცილებლად საჭიროა მრავალ ადამიანთა მსხვერპლი ზოგიერთ წინდაუხედველობის შესამჩნევად?

ოცდა სამ ივნისს, ნაშუადღევს ორ საათზე იტალიის გემი «კოლუმბია» ოდესასა და ევპატორიას შუა დაეჯახა ბათუმიდამ მიმავალს გემს «ვლადიმირს». «ვლადიმირი» მთელი ბარგიანა და ორმოც და-ათამდინ მგზავრიანათ დაიდუბა. დანარჩენი მგზავრები გადაარჩინეს იტალიის გემმა და «სინეუსმა», რომელიც შორიდამ მოეშველა გემების შეტუბით.

გამოზაფხულზე კასპიის ზღვაზე დაიდუბა გემი და მასთან მრავალი ხალხი. აზოვის ზღვაზე

დაიდუბა გემი და მასთან მრავალი ხალხი. «სამარის გაზეთი» გვატუბობინებს, რომ 15 ივნისს სამოცამდე მლოცველები დაიდუბნენ სოფელს ტაბინსკში, როდესაც ისინი ბორანით (პაროპით) გადიოდნენ ზეღის მდინარეზედ. უბედურება, როგორც გაზეთი იუწყება, იმ მიზეზით მომხდარა, რომ მეპორმეები დილით ექვს საათზე დამთვრალიყვნენ, ბორანის უფროსი სადღაც წასულიყო და ბოქაულს გუნებურათ დასძინებოდა. უველანი, ვისაც კი თვალთ უნახავს ეს და ამის მზგავსნი უბედურებანი, ერთხმაჟ აღიარებენ, რომ უოვლად შეუძლებელია წარმოდგენა და გამოთქმა იმ სამინელი სურათისა და ტანჯვისა, რომელსაც წარმოადგენენ ამგვარნი მსხვერპლნი.





ხშირად უველა ამისთანა უბედური შემთხვევა დიდ მასალას აძლევს დრო გამოშვებით გამოცემათ. ისინი მოდგებიან და აგრძელებენ წერას, რომელიც არავითარ სარგებლობას არ მოუტანს გაზეთს გარდა არც ჭირისუფალს და არც საზოგადოებას. ზოგიერთი გაზეთები საზოგადოებას მოუთხრობენ, რომ «ვლადიმირის» გემის დაღუპვის შემდეგ ზღვაზე მოტივტივე ქალები და კაცები ხელებს ართმევენ, ჰკოცნიდენ ერთ-მანეთს და შემდეგ ემზადებოდნენ ზღვის უფსკრულისკენ გამგზავრებასა! დიან, ძლიერ კარგი დრო იყო გამოსამშვიდობებლათ, და სამიჯნურო გრძნობის გასაზიარებლად, — სულ ამაზე ფიქრობდენ თურმე.

ენლა გაზეთები იმას სჯიან, თუ რომელი გემის უფროსი იყო დამნაშავე: „ვლადიმირისა“ თუ „კოლუმბიასი“. ერთი ოდესის გაზეთი ამბობს: «ვლადიმირის» დაღუპვას იტალიელ გემის «კოლუმბიის» კაპიტანს აბრალებენ, მაგრამ ზღვის კანონების მკოდნეთათვის ცხადია, რომ „კოლუმბიის“ კაპიტანი კი არ არის დამნაშავე, არამედ კაპიტანი რუსის გემის „ვლადიმირისა“, რადგანაც ამ გვარ შემთხვევაში, როდესაც ორი გემი წააწყდებიან ერთმანეთს ასე პირდაპირ, ორთავმ მარჯვნივ უნდა აქნევიონ პირი გემს და ასე უნდა განშორდენ. ხოლო ამ შემთხვევაში წესი მეზღვაურთათვის დაერღვია არა „კოლუმბიის“ კაპიტანს, არამედ „ვლადიმირისას“, რადგანაც მას მარჯვნივ მარუნების ნაცვლად მარცხნით მიუბრუნებია გემი და ამიტომ „კოლუმბიას“ დასტაკებია. ახლაც ისე მოხდა სწორედ, როგორც მარმან, როდესაც „კოცებუ“ და „პოტემკინი“ დაეჯახნენ ერთმანეთს. ბოლოს გაზეთების დავა გათავდება მით, რომ უველა გემების კაპიტნები მართლები და ბრალდაუდებელნი დარჩებიან და ნამჯილ დამნაშავეთ კი მხოლოდ დაღუპულებს და ადიარებენ.

გაზეთებში იწერებიან, რომ განკარგულება გამოიკა უველა გემების და ნავების შემოწების და დათვალიერების შესახებო. უნდა დაათვალიერონ უველა გემებიო, რომ შემდეგში არ მოხდეს ხალხის დაღუპვა გემების სისუსტიითა და მათ გამვე პირთა დაუდევნელობითაო... კარგი და პატიოსანი! მაგრამ ჩვენ ერთი რამ გვიკვირს

და ვერ აგვიხსნია. განა ამისათვის უჭველად ამოდენი მსხვერპლი იყო საჭირო? განა არავინ იყო დარწმუნებული, რომ რუსეთის ზოგიერთ მეზღვაურთა ხელში ბეწვზე ჰკიჯია ზღვაზე მოსიარულე ადამიანთა სიცოცხლე? განა დღემდის არ ჰქონდათ შეტუობილი, რომ გემების გამგენი უფრო უურადლებას ფულებს შემოსავალს და გამდიდრებას აქცევენ და არა ზღვაზე მიმომავალ ხალხის კეთილდღეობას და საჭიროებას? რამდენი წეს-წყობილებაა ზღვაზე მოსიარულე ადამიანთა საჭირ-ბოროტოთ, მაგრამ ვინ აქცევს უურადლებას? რამდენ ცვლილებას და გემით მიმავალთ შევიწროებულ მდგომარეობის გაუმჯობესებას მოულო კაცი დღე-დღეობით, მაგრამ ცვლილება არავითარი არა სჩანს!

ჩვენ აქ მივაქცევთ ერთ უბრალო გარემოებას მკითხველის უურადლებას; სრული დარწმუნებული ვართ, ამ უბრალო რამესათვის რომ კაპიტანს უურადლება მიექცია, არც ერთი მგზავრი არ დაიხრჩობოდა ამდენ დაღუპულებში. დაღუპულების რაცხვში უმეტესად პირველის და მეორე კლასის მგზავრება მოჰყოლიან. არ გვჯერა, რომ ისე მალე კაცი დაიხრჩოს ზღვაში იმისთანა შემთხვევაში, როგორც ჰქონდა «ვლადიმირის» გემის მგზავრებს (წუნარი ტაროსი, ზაფხული, მშვიდი ზღვა და მეშველი გემიც ახლოს). ნუ თუ მათ საშველებელი «პროპკის» სარტყლები არ ჰქონდათ? როგორ არა, ეს საშველებელი უველას თავთ ედებოდა, მაგრამ ზოგიერთებმა იქნება კიდევ არ იცოდნენ მათი არსებობა. მაგრამ რა, რომ კიდევ სცოდნებოდათ, თუ ხმარება არ იცოდნენ, ხომ მაინც უნაყოფო იქნებოდა. რომ ხმარება არ სცოდნიათ, ეს იქიჯან სჩანს, რომ ზოგს ფეხებზე მიუკრავს ეს საშველი სარტყელი და ამ ნაირად მოუსწრაფებია თავის დახრჩობა.

ერთი პირი, რომელსაც ცენზორს უწოდებენ, ამბობს: «ამისთანა უბედურ შემთხვევას სხვა ადგილებშიაც დავსწრებივარ და ამისათვის მამაცურად ვიუავი, სხვებს დაუთმე ადგილი ნავში და მე კი სულ ბოლოს დავრჩი. ჩემ ფეხებ ქვემ ჩასძირა «ვლადიმირმა»: პირველათ წყალში ჩავიმაღლე, მაგრამ ბოლოს ამოვცურე. ცურაობის დროს პროპკის სარტყელი კისერში



წამეჭირა და კინაღამ დამხრჩო, მაგრამ მომეშველენ და ნავში ჩამსვეს“. თუ კი ამისთანა გამოცდილმა კაცმა ვერ მოახერხა საშველი სართულის ხმარება, რაღა უნდა ვსთქვათ სხვებზე? განა ეს გასამტყუნებელი საბუთი არ არის გემის უფროსებისა და მათ ხელქვეშეთა? როდესაც მიუახლოვდებიან ნავთ სადგურებს, გემის კაპიტნები დიდის თავმოწონებით და რიხიანად გვიძახიან ხოლმე: «ვლევო ბორტ! ნაპრავო! ტოპ-პორი!» და სხვა. ამ დრომდე კი გემის ოთახში სძინავს უზრუნველად...

ახა თუ აზრათ მოსვლია რომელიმე გემის უფროსს ოდესმე მგზავრებისათვის ერვენებინოს, თუ როგორ უნდა იხმაროს ადამიანმა და სად შემოიკრას საშველი სართუელი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ერთი მაგალითი კმარა, აჩვენონ მგზავრებს და ჩაუშვან ვინმე ამ სართულიანი ზღვაში მგზავრთა დასანახავად, არასოდეს არ მოხდება, რომ შემდეგში ფეხებზე მიიბან ეს სართუელი ანუ კისერში წაიჭირონ გაჭირვების დროს. განა მისი ჩვენება რაიმე ხარჯს მოითხოვს ანუ ძნელი ასასრულებელია? პირველსა და მეორე კლასის მგზავრებს აქვს, ვსთქვათ, გემისაგან მიცემული საშველებელი სართუელი, მაგრამ მესამე კლასით მიმავალნი კი მოკლებულნი არიან სუუველათერს. რისთვის? განა ისინი საკმაო ფულს არ იძლევიან ბილეთებისათვის? განა შესავალი არა აქვს გემს იმდენი, რომ მესამე კლასით მიმავალთაც არ მოაკლოს ეს საშველებელი სართულები? ნუ თუ იმდენად გამადარბებელი იქნება გემის პატრონთათვის ერთჯელ და საბოლოოდ ამ სართულების შექნა? არა, უველაფერი ეს საადვილო მოსახერხებელია და ადვილად მისახდომი, მაგრამ სამწუხაროდ საჭიროა მრავალ ადამიანთა მსხვერპლი ჩვენ წინდაუხედველობის შესამჩნევად და ურიგობის თავიდან ასამორებლად.

სავა მრავალ, ესრეთ წოდებული მეორე ხარისხის გემების უწესოებათა შორის, მოვიხსენებთ ერთ უწესოებას, რომელიც მოკლებულია კანონის მფარველობას და დამოკიდებულია გემის გამგეთა სიპრიანობაზე. აი საქმე რაშია: უველამ იცის, რომ პირველსა და მეორე კლასით მიმავალ ბილეთისათვის კარგა ბლომად ფულს იხდიან იმ პირობით, რომ სასმელ-საჭმელი უზრუნველი ექნესთ, რამდენსაც დარჩება ზღვაში. მოხდება, მაგალითებრ, დეღვა სადილობის დროს მგზავრი შეიქმნა უქეიფოთ და სადილზე ვედარ მივიდა. ნასადილევს შეიქმნა კარგათ და მოითხოვა სადილი, მაგრამ უოველთვის უარს ეუბნებიან, სადილის დროს რატომ არ გამოცხადდითო. თუ «ბუფეტში» ადარაფერი ეგულებათ გაკეთებული, მაშინ რაღა გაეწეობა, კიდევ ეპატიებათ, მაგრამ როდესაც ფულის გადების შემდეგ მოეძევებთ ხოლმე საჭმელიც და სასმელიც — განა ეს კანონიერი საქციელია? გემი პირობას აძლევს მგზავრს თვისი ხარჯი აძლიოს, რამდენი ხანიც უნდა დარჩეს ზღვაზე. ნუ თუ საკმაო თავის გამ რთლებათ უნდა ჩამოვართვათ, გემმა რომ საჭმელის მიუცემლობის მიზეზად აღიაროს, რომ აქაო და მგზავრი სადილზე ვერ მოვიდაო და ზღვის ავადმყოფობისაგან დასუსტებული მხოლოდ რამოდენიმე საათის შემდეგ შეიქნა უკედ. რამდენი სხვა ამისთანა უწესოება ხდება გემებზე, ვინ მოსთვლის და როდის მოედება ბოლო ამას, ვინ იცის? ადბად მოისპობა უფრო მაშინ, როდესაც სახელმწიფო სუუსი-დია, დახმარება, მოაკლდებათ მათ და უველანი დააფასებენ თავის მუშტრების (მგზავრების) უურადლების დამსახურების მნიშვნელობას და სიძვირფასეს.

დევ. დ. ლამაშიძე.



### მწარე ფიქრები.

«ივერია» აცნობებს თავის მკითხველებს ერთ გამოგონებულ ამბავს—ქართული დაბადების დაბეჭდვის შესახებ. «აქართველოს ექსპროზოს, მთავარ-ეპისკოპოსს ელადიმერს, ამბობს გაზეთი, სურს, რომ შესწორებული დაბადება ხელ-ახლა დაბეჭდიოსო». ეს ცნობა გაზეთის «ივერიისა» სრულებით უსაფუძვლოა. არავის არ განუძრახავს დაბადების ხელ-ახლად დაბეჭდვა. ხელ-ახლა დაბეჭდვა კი არა იმასაც სწუხრან, რაც დაბეჭდეს, რადგან ამ წიგნის რამოდენიმე ასი ცალი გაუყიდელი აწყვეია წიგნების საწყობში.

\*\*\*

ვკონებთ, ასეთივე უსაფუძვლო უნდა იყოს ის ამბავიც «ივერიისა», რომ ამ წელს ოთხი სემინარიაში კურს დამთავრებული მიდის სასულიერო აკადემიაშიო. თბილისის სემინარია მ დეკემბრიდან 1893 წ. დახურულია, წელს იქ სწავლა არავის დაუმთავრებია და საიღამ მიღიან ეს სემინარიელები აკადემიაში? ღმერთმან ინებოს, რომ ეს ამბავი მართალი გამოდგეს, მაგრამ ძლიერ ეჭვი გვაქვს...

\*

სოხუმელი კორრესპონდენტი აცნობებს «ივერიას», რომ იქ ქართველ საზოგადოებას პანაშვიდი გარდაუხდია გარდაცვალებულის ინგოროყვას სულის მოსახსენებლად, მაგრამ საქმე ძლიერ გაჭირვებულა, რადგან ქართული კურთხევანი ვერ უშოვიათ. დიდ მადლობას უძღენიან დეკანოზ მაჭავარიანს, როლმესაც ეს პანაშვიდი გადაუთარგმნია და შეუსრულებია ქართულად. სწორეთ, თუ ეს მართალია, დიდი მადლობის ღირსი ყოფილად. მაჭავარიანი!.. პირველად გვესმის, რომ ქართველ დეკანოზს ქართული კურთხევანი არ ქონებია!.. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დ. მაჭავარიანმა აფხაზურა ენა არ იცის და რომელ ენაზე უქადაგებს მრევლს ნეტავი?!

ერსხელ ბათუმის ეკლესიაში ქართული წირვის მოსმენა მოისურვეს აქარლებმა და ქრისტიანე მუშებმა. ამ დროს ბათუმის ეკლესიაში ქართველი მღვდელი იყო წინამძღვრად, მაგრამ მან უარი გამოუცხადა მსურველთა და მიზეზად სწორეთ ისევ

და! ახელა, რაც სოხუმში დაუსახელებიათ, ე. ი. ქართული წიგნების უმეკონებლობა. წიგნების სყიდვა მოითხოვეს მათგან, და მაშინ დაპირდნ წირვალაუცის აღსრულებას ქართულ ენაზე, მაგრამ, ვკონებთ, დღემდისაც არ უყიდნიათ ეს ქართული წიგნები აქარლებს!.. ფრანგების მიპიონერებიც ხომ ასე იტყვიან თურმე უცხო ქვეყნებში: ვინც გაქრისტიანებას მაიძღომებს, საეკლესიო წიგნებს, სამღვდლო შესამოსელს და სხვა საჭირო საეკლესიო ნიკეტებს მოსაქრისტიანებლები ყიდულობენ და მღვდლების გასაგებ ენაზედ თარგმნიან ამ საღმრთო წიგნებს...

\*\*\*

გაზეთ «ივერიაში» ეკითხულობთ: «ხადის თავიღამ გვატყობინებენ, რომ იქ ქართველ საზოგადოებას პანაშვიდი გადაუხდია ინგოროყვას სულის მოსახსენებლად. კიდევ: «ჩვენ გვწერენ, რომ ახალ სენაკის ქართველ საზოგადოებას პანაშვიდი გადაუხდია» და სხვ... ნეტავი ქართველებს გარდა ვიღა ეგულება «ივერიას» ახალ-სენაკში, ხიდ-სთავში და სხვა ჩვენ ქალაქებში?!...

\*\*

ხმები ი. მოდა, რომ ქურნალი «საექსპროზოსის სასულიერო მოამბე» შემდეგ დროებაში გადაკეთდება და ცვლილებას მიიღებსო. ცოტა რამ ცვლილება მართლა შენიშნულა დღეს ამ გაზეთში. ზოგიერთი ოფიციალური ცნობები, რომელნიც წინეთ ოფიციალურ განყოფილებაში იბეჭდებოდნენ, დღეს არა ოფიციალურს განყოფილებაში იბეჭდებიან... ამ ქურნალის გამოცემას პროგრამაში იყო ნათქვამი, რომ ღარიბ ეკლესიებს უუფლოდ გავგზანებთ ქურნალიო. სწორეთ საინტერესოა შეიტყოს სამღვდლოებამ, რამდენ ღარიბ ეკლესიას ეგზანება ეს ქურნალი მუქრად. ამ გაზეთის პროგრამაში იყო ნათქვამი, რომ ზოგიერთი სტატიები, რასაკერაველია, არა ოფიციალური ნაწილისა, ქართულათაც იქნებიან გადმოთარგმნილიო. ვკონებ, ჯერეთ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რაიმე სტატია გადათარგმნილიყო. ნუ თუ ამდენ სტატიებში ერთა სტატია არ იყო საინტერესო ქართველი მკითხველებისათვის?...

სოფლის ხუცესი.







«მწუხმის» პატივცემულს რედაქციას.

მამაო რედაქტორო!

თუმცა თქვენი გაზეთის პირდაპირ საგანა არ შეეხება შინაარსი ქვემოთ მოყვანილი ჩემის წერილისა, რომლის დაბეჭდვასაც პაციფიკულ «მწუხმისში» მე თქვენ უმორჩილესად გთხოვთ, მაგრამ საზოგადოთ დაცვა სიმართლისა თქვენს გამოცემას თავის მიზნათ მაჩნია. ამისთვის გავებდე მივაქციო თქვენი და საზოგადოების ყურადღება ყოველივეს ქვემოთ მოხსენებულს.

მოგესხენებათ. რომ ხონის არხის წყალმა დიდი დევა გამოიწვია მის მონაწილეთა შორის და ეს დევა გაზეთებშიაც იქნა გადატანილი მოდავეთაგან. სხვათა შორის გაზეთმა «ივერიამ» დაბეჭდა (№ 50) ავტორისაგან ხელმოწერილი შენიშვნა: დასასრული ხონის დავისა. რადგან ავტორს ამ წერილისას ნებით თუ უნებლეთ მიემალა ნამდვილი გარემოება საქმისა და მეც და სხვასაც თავის წერილში მის ქვიფზე გვალაპრაკებდა, მე საჭიროდ დავინახე წერილი მაგწერა «ივერიის» რედაქციისათვის გაზეთში დაბეჭდათ, რომ მათ მკითხველი საზოგადოება შეცდომიდან გამომეყვანა... რედაქციამ ჩემი წერილი არ დაბეჭდა. მის მაგივრათ ორი დღის შემდეგ ახალი წერილი დაბეჭდა (№ 52). დ. დევიძისაგან ხელმოწერილი: ხონის და ჯანაშიას ანხის შესახებ. ამ წერილში, გარდა საქმის გარემოების სრულით არეგულარევისა, მე ცილი შემწამა, ვითომც მე წყლის სადღაც გაყვანა მეთავებიოს, ვილაც 300 მოსახლე კაცო მემუშავებიოს, მათთვის ფული გადამებდენებო, წყალი კი სადღაც «უდაბნოში» ჩემთვის წამეყვანოს, საღაც «ჯურღმულში» ჩამეგდოს, რომ სარწყავათ არავის გამოდგომოდა; თვითონ ეს წყალი «უკანონოთ» (ძობარვით რაღა) შემქმინოს და სხე.

თუ ყველა აქ ჩემზე ნაოქვამი მართალია, — «ივერიის» რედაქციისა რა მოგახსენოთ და, — მე კი ყველა ამაების ჩამდნს კაცს კაცთ აღარ ვთვლი. და თუ მაჭორილია, მაშინ მკითხველისათვის მიმინდვია ამაების მომგონის სახელწოდება და მისი ზნეობითი სიფაქიზის დაფასება.

«ივერიის» რედაქციამ კიანინუნშააც არ ჩაიგდო, როცა ამ ცალას წამებს შესახებ მეორე ჩემი წერი-

ლიც არ დაბეჭდა. ვუცადე ორი-სამი კვრა. მივწერე საგანგებო წერილი პირად თ. ი. ქაჭავაძეს და ბოლოს — მეტი გზა რომ აღარ იყო — ვეახლე ტფილისში. როგორ გვინათ? რა მიზეზი მიბრძანა რედაქციამ, რომ ჩემი წერილი არ დაბეჭდა. რაც უნდა მომასწავებელი იყოს, რედაქციის პასუხს — დაწვანებული ვარ — ვერ მიხვდება...

— „თქვენი წერილიო, ბრძან რედაქტორათ თავის მწოდებე მა თ. დ. მიქელაძემ, ავტორმაქვსო, მაგრამ ჯერ არც კი წამიკითხავსო... ერთობ გრძლათ გიპასუხებიაო, ორიოდ სიტყვით შეგეძლო მარჩენილიყავო... სულაც რომ არ უბასუხოთ, ვითომ ამით რა დაშავდებაო... საქმე საქმით (!) გამოირკვაო... თუ განგებ ამ საქმისათვის ჩამაბრძანებულხართ, დიდათ შექცდარხართო... ტყუილათ თავს ნუ შეწყენ, რომ ამ საქმის თაობაზე თითონ ილია ნახოთა... რედაქტორი მე ვარო... თქვენ რომ იმას განგებ წერილი მოსწერეთ, ვგონებ, ისარცკი უნდა წაეკითხოს მასო... სად სცალია, რომ თქვენი წერილები იკითხოსო. ისიც კი არ გაუგია, თქვენზედ თუ რაიმე დაბეჭდა «ივერია»-შიო. საცენსურო წესდების ძალით რომ გინდათ დაგვაბეჭდიოთო, ეს რაღა სათქმელი იყოო... მაგრამო (გონს მოვიდა) თუ ძალით დაგვაბეჭდინებთო, ჩვენთვის კიდევ აჯობებსო. თავის გასამართლებლად (ვისთან?! ) მიიწვამო გვაგადგებაო: გვიჩივლეთ, გვიჩივლეთო — და ვაღამცა წერილები... როცა ზედ წარწერა ვითხოვე, თუ რატომ არ ბეჭდავენ, მეორე დღისთვის დამაბრა. «გავეცნობი თქვენს წერილსო. მე თვითონ მინდოდა იქვე «რეკამანცია» მექმნა, მაგრამ მიწყინა — «ახლა სად მცალანო»!... მეორე დღე რუსული ზედ წარწერებით ვაღამცა ჩემი წერილები ხელმოწერილი «за редактора князь Д. Микеладзе». ერთზე ეწერა: ეს შეეხებაო «Нов. Обоз.»-დან ჩვენ მაერ ვაღამბეჭდულ ცნობასაო, სახელწოდებით «დასასრული ხონის დავისა, ამიტომ იქ, «Нов. Об.» რედაქციას მიმართო ავტორმაო. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ «ივერიაში» დაბეჭდილ მოხსენებულ წერილს (№ 50) არავითარი საზოგადოთ მიღებული ნიშანი, რომ ვითომ ის საიდანმე ვაღამბეჭდილი ყოფილიყოს, არა აქვს. და თუ მართლა ვაღამბეჭდა რედაქციამ, მაგრამ როგორც მიღებული იყავო აო ვააცხადა, ამა ვაღამბეჭდვა კი არა ქურდობას უძახიან ჩვენში და მწერლობაშიაც საკუთარი სახელი აქვს ასეთს ქცევას. მეორე წერილის ზედ წარწერის შინაარსი მოკლეთ რომ ვთქვათ ეს იყო: ჩვენ ვართ და არ ვბეჭდავთო.



«ივერიის» რედაქციის ასეთს ქცევას, ვგონებ, განმარტება და ახსნა ალარ უნდა ეჭირებოდეს!.. უდანაშაულო კაცს ცუდი შესწამეთ, თავის გამართლებას მისგან ნუ მოისმენთ, საჩივრის კარეზისაკენ მიუთითეთ და თქვენ, ცილისმწამებლო, გულდამწეიდებული და სინილის განწმენდილი, რომ თქვენი ვალი უნაკლულათ შეასრულებთ, წარბსაც კი ნუ შეიხრით, ნუ გაწითლებით თქვენი ასეთი ქცევისათვის...

სანწუხარო ის უფროა და—ამ ჩვენს დროში გასაკვირველი აღარაფერი აღარ არის, თორემ საკვირველიც, რომ კანონმაც არ აიძულა რედაქცია „ივერიისა“, რომ ჩემი თავის გამართლება დაებეჭდა.

რასაკვირველია, მე რომ წერილები არ დამიბეჭდონ, დღე არაფერი იქნება,—მაგრამ უთანასწორო იარაღით ბრძოლაში განა არ შეიძლება, რომ ფაქტაციც კი გაწილდეს? აგრეთვე ამ ჩვენს დავაში, ასეთი მოუხერხებელი ბრძოლით განა არ შეიძლება ყოველივე სიმართლე გაიქელოს. \*)

6. წერიული.

პ ა ს უ ს ი

6. ნიკოლაძის მოსარჩლეს ბ. დ. დევიძეს.

ბ. ნიკოლაძესთან ჩემი კამათობის შემდეგ დ. დევიძეს საჭიროდ დაუნახავს გამოსარჩლება ჩემდა საწინააღმდეგოთ ხონის არხის შესაგებ ატეხილ დავაში. წერილი დევიძისა არის განმეორება ბ. ნიკოლაძისაგან ჩემზე «*НОВ. ОБОЗ.*»-ში ნათქვამისა, მხოლოდ „ივერიაში“ (№ 52) გადმოქართულებული... დევიძე სწერს: «საქმის დაწყებიდანვე ბ. ნ. ნიკოლაძეს სულ იმას ცდილობდა, რომ შემდგარიყო წყლის ემართვლობა, მაგრამ ხონელები ვერ დავეითანხმეთო». ბ. დევიძე! რატომ არ ფიქრობთ, რომ ამ თქვენი სიტყვებით ტყუილ-უბრალოთ უდანაშაულო ხონელებს საცეცნოთ ცილსა სწამებთ? ნათქვამს დასაბუ-

\*) ადგილს ვაძლეოთ ამ წერილს ჩვენს გამოცემაში მხოლოდ იმისთვის, რომ წერილის ავტორს ღონისძიება არ მისცეს უკანასკნელის პასუხის გაცემისა და თავის გამართლებისა იმ ცილის წამებისაგან, რომელიც მას ასე უბრალოდ დასწამეს.

რედ.

თება, დამტკიცება არ ეჭირება თქვენში?! როდის შეჰყარეთ ხონელები, როდის უბრძანეთ, რომ არ დაგეთანხმენ? როდის ცდილობდა ბ. ნიკოლაძე წყლის მართვლობის შედგენას? სად ეცადა, ან ვის შეაწყინა ამაზე თავი? თუ როგორ მოიქცა იმ თავიდანვე ბ. ნიკოლაძე, ან რა წესდების შემოღებას ცდილობდა, ეს აღწერილია «*კვალის*» მე-1 ნომერში... წინააღმდეგი ამისა მან ვერაფერი თქვა. თქვენ თუ გინდათ თქვით, ბ. დევიძე, უნდა კიდევ დაამტკიცოთ, თორემ მაგისთანა თქმას ისევე არა თქმა სჯობს... ბ. ნიკოლაძემაც ეს ამჯობინა.

«*გვ* დალოცვილი წერეთელიო, ოხუნჯობს ჩემზე დევიძე, დაამუხჯეს კი არა, იმოდენი დიდმარხვის პირველ კვირიაკეში მგონი შედავითნესაც არ უღალადნიაო». ბ. ნიკოლაძე კი ბრძანებდა ჩემზე «*НОВ. ОБОЗ.*»-ში: «წერეთელიო, ერთსა და ორსათს კი არა, რამდენიმე საათს განუწყვეტილად «უქადაგებდა» 19 19 იანვრის კრებასაო»...

როგორ გგონიათ ბატონო ბ. ბ. ჩემო მოკამათებო? „ენას ძვალი არა აქვსო», რომ არის ნათქვამი, რა აზრი უნდა იყოს ამ ნათქვამში? ვისზე ითქმის ეს? რას ქვიან აქ ენის ძვალი—შემდგებისთვის მაინც იქონიეთ სახეში—სინილისი კიდევ იმას ითხოვს, რომ ნათქვამი დასაბუთო... მე კიდევ განმეორებით მოგახსენებთ, რომ ხონის 19 იანვრის კრებაზე, რადის კრება მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელმა გახსნა და თავსმჯდომარეობა კრებისა ადგილობრივს ბოქაულს, ტ—შვილს მიანდა, ამ უკანასკნელმა, პირველის დახმარებით, ერთი სიტყვა რა არის, ისიც არ მათქმევინა კრებისათვის... ე-ლამაც—მაგალითად—მიწაბის თანამდებობაზე კანდიდატათ დამასახელა, ჩემდა უნებურად... იძულებული შევიქენი, რომ ორი სიტყვა «*კენჭს არ ვყრილობ*» თავსმჯდომარის პირით გამომეცხადებია კრებისთვის... ამის მეტი არა თქმულა რა...

«*თუ* ხალხმა ბ. ნიკოლაძის რჩევა მიიღო და არა წერეთლისა, ბრძანებს ბ. დევიძე, მიიღო მისთვის, რომ დასასრული მიეცა ამ საქმისთვისაო». ერთ წამშიაც არ უნდა დავივიწყოთ, მკითხველო, რომ ბ. ჩემი მოკამათების ენა უძელოა... საბუთი მათს ნათქვამს არ ეჭირება. მაგრამ, მათდა სამწუხაროთ და სიმართლის სასიკეთოდ, სიცრუეს ერთი ძვირფასი თვისება ისა აქვს, რომ მისი მომგონი, ორი კაცი კი არა, ასიც რომ იყოს, თავიანთი ხელებით კულ-



საც ვერ დაუფარავენ ამ ეჭბატონს. თუ, ბ. დევიძე, «ხალხი დაეთანხმა» თქვენს ნიკოლაძეს და საქმეც «დაასრულეს», — მაშ რისი უკმაყოფილოა დღესაც ხონი, საწულიკაძეო, კუხი, გუბი და ივანლიძე? რა საქმე გქონდათ პეტეუბურგში, საიდანაც ცის მანანასავეთ მოვლით დღესაც ხსნას, თუ საქმე აქვე დასრულეთ? სად არის კანონიერი მართებლობა წყლისა, რომელსაც თქვენზე ნაკლებ არ ესაჭიროებთ ყველა დანაჩენი მონაწილეები წყლისა?

«ბ. ნ. წერეთლის ჰაზრიაო», ენამჭევრობს დევიძე, „მარტო მისთვის (?) და კერძოთ (?) მისთვის გამოსადეგი იყო და არავეისთვისო. ის (წერეთელი) დაჟინებით გეიმტკიცებს (?) კრებაშიო, რომ თითო (?) სოფლიდან ორ-ორი (!) რჩევის წევრა იქოსო, ეს მისთვის სურდა, რომ სოფელში (?) ქომადგები (!) ეშოვნაო». ბრძანა და გაათავა!.. მე მსურდა, რომ როცა დიდ ჯიხაიშს ორი წარმომადგენელი ჰყავს, ოთხს სოფელს — საწულიკიძეოს, კუხს, დიდ გუბს და პატარა-გუბს — ერთი წარმომადგენელი მაინც ჰყაროდა.

სადაც კი ჩვენ თხოვნა შევეტიტანია ამის შესახებ, ეს გვაქვს ნათხოვნი... ბ. ნიკოლაძემ კი დასწერა «НОВ. ОБОЗ.»-ში: «წედეთელი ცდლობდა, რომ თითოეულ სოფელს თითო ხმა ჰქონებოდა საბჭოშიო. მაშინ, როცა დიდ-ჯიხაიშა და ხონს თითო ხმა ექნებოდაო, საწულიკიძეოა ტოტს ოთხი წარმომადგენელი ეყოლებოდაო! ცაგიმეორებთ ბატონებო, რომ ენის ძვალი — სინიღისია; სინიღისია ნათქვამა საბუთს უძებნის... თქვენს ენას რომ ძვალი არ ჰქონდეს — ვისი ბრალია?!

«ამით სურდაო, ენა წყლიანობს დევიძე, წერეთელს რჩევაში მეტი ხმა ეშოვაო (როცა «თითო სოფელს», მისი სიტყვით, ორ-ორი ხმა ექნებოდა და მათ მე „მოვიქომადგები“.) და ახლ გაეზარებინა წყალი ამ 300 კომლი კაცისათვის, რომელმაც საწულიკიძეოს ახლი გამოეყვანეს და მას გამოეყვანაში ფუფით თუ მუშაობით მიიღეს მან-წაიჯებაო».

ბ. წერეთელი.

(გაგრძელება იქნება).

### ახალი ამბები და შენიშვნები.

წელს ოთხ სასულიერო აკადემიაში (პეტერბურგისა, მოსკოვისა, კიევისა და ყაზანისაში) სწავლა დაუშთაერებია 193 კაცს. ყველაზე უფრო ბევრს გაუთავებია მოსკოვის აკადემიაში (64 კაცს), ყველაზე ნაკლებს ყაზანის აკადემიაში (29 კაცს). 193 კაცში 164 კაცს გაუთავებია სწავლა ლეთი მეტყველების კანდიდატის ხარისხით, ხოლო დანარჩენთ ნამდვალი სტუდენტის ხარისხით. მომავალი სექტემბრის თვეში ოთხივე აკადემიაში იქნება 88 თავისუფალი ადგილი; პეტერბურგის აკადემიაში იქნება 25 ადგილი, კიევისაში 25, მოსკოვისაში 20 და ყაზანისაში 18 ადგილი.

\* \*

ახალ-სენაკადამ გეწერენ: «იენიის თვის უკანასკნელ რიცხვებში დ. ახალ-სენაკში კრება ჰქონდათ გურია-სამეგრელოის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატებს. კრებას, სხვათა შორის, წინადადება ჰქონდა მიცემული შეესყიდა თავისი ოთხ კლასიანი სასულიერო სასწავლებლისათვის ის ხის შენობა, რომელშიაც დღეს არის მოთავსებული სასწავლებელი. მაგრამ სამღვდლოებამ უარი განაცხადა როგორც ამ შენობის შესყიდვს შესახებ, ისე მის დაქირავებაზე. სამღვდლოების კრება მოურიგდა ერთ კერძო ეპარქია, რომელმაც სამღვდლოებისკე ადგილზე უნდა ააგოს ახალ-სენაკში ხსნებული სასწავლებლისათვის 3500 მ. იმ ზომის ხის სახლი, რა ზომისაც არის ია შენობა, რომლის შესყიდვას სამღვდლოებას ურჩევდენ და რომელ შენობაშიაც მეპატრონე ითხოვდა 6,000 მანეთს.

\* \*

იქიღვანე გეწერენ ერთ სამწუხარო ამბავს, რომ იქაუბის ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში მომავალი სამოსწავლო წლიდამ ქართული ენა სავალდებულო საგნად აღარ იქნებაო. ნეტავი ვიცოდეთ, მართალია ეს ამბავი, თუ არა და თუ მართალია, ნეტავი რა აზრისაა ამ საგნის შესახებ ადგილობრით სამღვდლოება?

\* \*

სახალხო სკოლების მასწავლებლების შეილები გიმნაზებში სასწავლო ფულისაგან განთავისუფლებულნი არიან. დღეს კითხვაა აღძრული საერო გა-



ნათლების სამინისტროსა და იმპერატრიცა მარიამის უწყებინაგან, რომ სახალხო სკოლების მასწავლებელთა ქაღებიც თავისუფალნი იყვნენ სასწავლო ფულისაგან დედათა გიმნაზიებში.

\* \*

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! ამასთანავე მოგართმევთ, სიტყვას, ჩემ მიერ წარმოთქმულს სამრევლო სკოლის მასწავლებლის რაჟდენ გოგოტიშვილის დასაფლავების დროს და გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულს გაზეთში.

ამ გოგოტიშვილმა სიკვდილის ჟამს გამოცხადა, რომ თქვენ გაზეთ „წყემისს“ ნომრებს და სხვა მრავალ წიგნაკებს უგზავნიდით მასს. განსვენებულმა დამავალა მადლობა შემოგწიროთ მის მაგიერ და სამი მანეთიც მოგართეთ. ვასრულებ საცოდავის ანდრძს და მოგარიმევთ სამ მანეთს. \*)

თქვენი და სხვ. თ. დუნდუა.

ს ი ტ უ ვ ა,

თქმული რაჟდენ ბესარიონის ძის გოგოტიშვილის დასაფლავების დღეს 8 მარტს, 1894 წ.

«კაცი, ვითარცა თივა არიან დღენი მისნი. ვითარცა ყვავილი ველისა, ეგრე აღუვადეს!»

საყვარელო, ძმაო რაჟდენ! ციხარცა პოხიერმან და კვირთა სუნთა მთვისებელმან ყველმან შენ სიყრძიდან ტანი და სხეულნი განაპოხენ, რამდენად შესაძლო იყო, სწავლაში და ცხოვრებაში ერთი წამიც არ გაგეტარებია უქმად, მუდაჲ კვირლად და ბეჯითად მოკმედებდი. იზრდებოდი მსგავსად ახალ ნორჩ თვისა და ყვავილისა ველისათა. საქმენი შენნი მოვალეობის აღმასრულებელის დეაწლად მიმთვალეველისა იყო სულიდებელ, ზანაწაფლებელთა სათნო, მშობელთა სწუგეშო და უკანასკნელ მცირედ ჟამ გამოჩენილი ნაყოფი სამშობლოსა და საზოგადოებისთვის სასარგებლო.

ძვირფასო ჩემო რაჟდენ! უკდურესად ღირბითა მშობელთა შენთაგან ზოგიერთ კეთილ პირთა შემწეობით გაგზავნილ იქმენი თბილისის სასულიერო სემინარიაში. იყავი სწინდისით წრფელი, გონებით კეთილ, გარნა სიღარიბით სულიტ. მიღებულის სწავლის უფლებით გსურდა მიღება რაისათვისაც გიწვევის. მაგრამ ვერ მიადწიე შენი სურვილის აღსრულებას.

\*) ზემოთ მოხსენებული სიტყვა ჩვენ მ-ვიღეთ ამ წერილით და მასთან სამი მანეთი, რომელიც საწყაღს გოგოტიშვილს უნდა გამოეგზავნა ჩვენთვის. ასე უდროვო დროს საცოდავი ახალგაზდა და სასარგებლო კაცს სიკვდილი უოველთვის დიდად სამწუხარო არის.

დიაღ, გასაკვირველი არიან ამ დროში ამისთანა პატიოსანი ზსიათის კაცები. ორ-სამ ჩვენს თანამომბეს არათუ სიკვდილის შემდეგ, არამედ სიცოცხლეშიაც შერჩათ ჩვენი გაზეთის ფული სამ მანეთობით კი არა, სამ თუმბობით და საწყაღი სამრევლო სკოლის ღარიბი მასწავლებელი არ კადრულობს სამი მანეთის შერჩენას!.. რედ.

ვით ყველი მწირე უსკარეო, მიწაზე მდგომი მცირე განსაცდელით განხვების, ეკრთოვე შენ ღარიბი, უღონო, სწავლის შემდეგ, სამს წელს შრომისა, ხარჯისა და ტანჯვისა სამრევლო სკოლის წარმოებაში და ღირსების ძიებაში მოკისრემ ვერ შესძელ გეკვეთა სენი, განიხრწენ, ვითარცა ყველი გაქვნი და განხემ, განუტყევენ სული და აწ მდებარე ხარ კუბოში. ყოველი არსებობისა შენისა მოძრავი ბორბალი დაბრუნდა უკუღმა და დაიმხო.

შენმა ასე უდროვოდ დაკარგვამ ძლიერ შეგეწაფუხა ყველა შენი ნაცნობნი, ხოლო შენს წერილ ცოლ-შვილს, მოხუც მშობლებსა და ნათესავთა შენთათა-ზარი დაგეცა და ემწუხარებთ. შენ გაღიხადე ვალი ღვთის განჩინებით, რაიცა ბუნებით გემართა, მიუხედე ზეცასა და მიწასა, მიხვალ წინაშე მართლმსაჯულისა ღვთისა, საცხოვრებელსა საუკუნოსა მზად ნათელსა; ცოდათ რომ არ მიმანდეს. ჩვენ ვეტყოლით საყვედურს, რომელმანცა წაგვართვა თავი შენი. ჩვენ გვენანები და მწუხარე ვართ, მაგრამ რით ვინუგეშოთ, ვიცით რომ არავითარი ქვეყნიერი ძალა ვერა მოგაბრუნებს შენ. ამ გვარ გულის ხმის მყოფელთა მეტ-ს მწუხარებასაგან ცრემლნი გაგვიშრა, თვალღმის ნაჩრეტები გულის დამწველ და ცეცხლის გამაქრობელს ნაშებსა აღარ გვაძლევენ, დაღონებულის ვართ, ადგილი შენი გულსა შინა ჩვენსა იცლება, ნაცვლად შენსა ფესვ-იღგემნ სიბნელე და მიმიე მწუხარებანი.—აწ შენგან ყოველად უიმედოდ დაშთენილნი მივენდობით ზეციერს ყოველად ძლიერს არსებას, და ქვეყნაზე აქ შემოკრებილთა, ჩვენი შემბრალე და მწუხარებაში მონაწილეობის მიმღებთა ღირსთა მამათა და კეთილ-მსახურთა ერთა.

თქვენ, ყოველად პატოლანო მამანო, გთხოვთ ანუგეშოთ ქრისთუფალნი განსვენებულის რაჟდენ გოგოტიშვილისა და ვევერეთ ღმერთსა, რათა მან აღმოუჩინოს ქრთეა და ობოლს საშვალეა ცხოვრებისა და აღზრდისა, ხოლო მიცვალებულის სულს განუხვენოს სასუფეველსა შინა.

აწ მოვიტყევი თქვენდამი, აქ შეკრებილნი საზოგადოებაჲ ყველანი ვხედეთ გუშინ ჩვენთანა მზრახველსა რაჟდენს გარდაცვალებულს. მან რაოდენიცა შესძლო იმსახურა. მეტი თქვენი სამსახური მას არ შეუძლია. მას არ ძალუძს შეწევობა გეთხოვოს თავის ქრთეობლისათვის. მაცხოვრის სიტყვისაებრ კაცი მოწყალე ავასხებს ქრისტესო, ამიტომ თქვენც იყიენით საქმით და სიტყვით მოწყალე, შემბრალე და ნუგეშინის მცემელი გარდაცვალებულის რაჟდენის საწყაღ ცოლ-შვილსა, ხოლო გარდაცვალებულის სულისათვის ესთქეთ ყოველთა: სანატრელსა შინა დაძინებასა მიძაღლე, უფალო, მონასა ამას. შენსა რაჟდენსა და მიეც მას საუკუნო ხსენება. ამინ.



# ღვთისმშობლის მიცვალება.

## I

მორწმუნენო, ღვთისმშობლისა  
 მიცვალებას ვადრდებდეთ,  
 ლოცვითა და ვედრებითა  
 ლიტანიას ვასრულებდეთ.  
 მოვიგონოთ მისი ჩვენზედ  
 წყალობა და სიყვარული,  
 დღესასწაულს პატრი-ეცსკეთ  
 ვაორკეცოთ სიხარული.  
 ღვთისმშობელი შეწყნარებს  
 პირმეტყველსა «ცოთმილს ცხოვარს»,  
 ცოდვები რომ აპატიოს  
 სთხოვს მისს ძესა, ღმერთს, მაცხოვარს.  
 ჩვენ მას ეთხოვოთ შებრალება,  
 შეწყნარება, შეწყალება,  
 და ესთქვათ მოკლეთ, ვითარ იქნა  
 ღვთისმშობლისა მიცვალება.

## II

ქრისტეს შობის აღრიცხვიდან  
 ორმეოც-და-მერვე წელსა,  
 ღვთისმშობელიც დამორჩილდა  
 დაწესებულს კაცის წესსა.  
 ბრძანა: «კაცი ვერ ასცდება  
 ამ უცვლელსა შემთხვევასო...  
 მე წარვალ და ხალხსა ზეცით  
 გარდმოუვლენ კურთხევასო».  
 დედოფალმა რა კი იგრძნო  
 მიცვალების ჟამი ახლოს,  
 მოისურვა, მოციქულნი  
 შეკრებილი ერთად ნახოს.  
 მოციქულნი ამდროს სოფლად  
 მიმოვლიდენ, ოფლსა ღვრიდენ,  
 ქრისტეს მცნებას ქადაგებდენ,  
 გულს მოდვინედ ხალხს მოძღვრდენ.  
 მსწრაფლ შემოკრბენ სიონს შინა  
 სულის წმინდის შთაგონებით:

პეტრე რომ-თ და პავლე კი  
 ტიბერიის მთა-გორებით,  
 მარკოზ-- ალექსანდრიაში  
 ჟამის წირვას განაგებდა,  
 და ბართლომე—თებაიდას  
 სახარებას ქადაგებდა.  
 მათე—მგზავრად ნაფში იჯდა,  
 ზღვის ტალღები აქანებდა,  
 იოანე—ეფესოში  
 ხალხს ქრისტესა ახარებდა.  
 ლუკა, სვიმონ, ანდრია და  
 ფილიპე სხდნენ სამოთხესა,  
 მკვრებით აღსდგენ, და ქალწულთან  
 ერთად შეკრბენ ამავე დღესა.  
 მოციქულებს თომა აკლდათ,  
 სხვა სულ ყველა შეიყარნეს,  
 რა იხილეს ღვთის-მშობელი  
 სასოებდენ, გახარნეს.  
 თითო თითოდ, მოწიწებით  
 დედოფალსა თაყვანისცეს,  
 მათი მსწრაფლად აქ შეკრება  
 ყველამ ასე დაუმტკიცეს:  
 სულმან წმიდამ გვეუწყაო  
 ჟამი შენდა მსახურების,  
 «მსწრაფლ სიონსო, ღვთისა დედას  
 მიცვალება ცგულეცხს».  
 უცბათ ღრუბლით აღვიტაცნეთ  
 და აქ შეგვკრბით საკვირველად!  
 შენდა საქებ სადიდებლად,  
 სათაყვანოდ, სახილველად;  
 მშვიდობასა გილაღადებთ,  
 ხერუევიმთა სიქადულთა,  
 ზეცისა და ქვეყანისა  
 მშვიდობაო, სიხარულთა.

## III

ღვთისმშობელმა დადებულად  
 ჟამი ერთი მოიხმინა,  
 მოციქულთა თქმული, ყველა  
 ყურადღებით მოისმინა.  
 მკრამე, თვალნი ზეცად მიმართ  
 აღიხილნა სალოებით,  
 ღმერთს სწირვიდა მადლობასა  
 აღჭურვილი სათნოებით.



მოციქულნი სიყვარულით  
 მოიკითხა... უთხრა ქება...  
 განუმარტა მათი ღვაწლი,  
 ქვეყნისადმი თავდადება.  
 ბრძანა «მწადსო, ერთად თქვენთან  
 ხილვა ნათლის მცემელისა,  
 სინანულის მქადაგებლის,  
 ხალხთა ნუგეშმცემელისა».  
 იმათ ჰკადრეს: «იყავნ! იყავნ!  
 უფლის მაღლი ჩვენთანაო».  
 იოანენე მაწრაფლ წამოდგა,  
 სთქვა: «მშვიდობა თქვენთანა»-ო!  
 პეტრემ: ამინ—მიამხნა,  
 სხვათა შექმნეს სიხარული,  
 ამით იგრონეს მაცხოვრისა  
 წყალობა და სიყვარული.  
 ღვთის-მშობელმა ხმა ჰყო ტკბილად:  
 «ადგილ ეცით, ადგილ ეცით,  
 «ეხადლობ ჩემსა ძეს, მაცხოვარს,  
 «მოაფლინა რა ეს ზეცით:—  
 «ესე არს წინამორბედი  
 «ძის ჩემის გამოცხადების  
 «ნაყოფი ზაქარიასი,  
 «ნაშობი ელისაბედის,  
 «ნათლისმცემელი მაცხოვრის,  
 «შთამომავალი არონია,  
 «ყვავილი უდაბნოისა  
 «და დასაბამი მირონის».  
 — შენმა ძემ შენად პატივად  
 ცანი ცათანი მოსდრიენა,  
 ზეცით და ქვეყნით ყოველნი  
 წმიდანი აქ შემოკრიბნა.  
 და სურს შეგამკოს დიდებით  
 ვით შენის ღვთისა დედსა...  
 ის აღვისრულვებს ყოველგვარს  
 საწადელსა და ნებასა.  
 იოანენე ღვთისა დედა  
 დიდებითა შეამყო რა,  
 მიეხალა, თაყვანი სცა,  
 დახარა, ეამბორა.  
 მოციქულნი რიგ რიგობით  
 ტკბილად ქებას უგალობდენ:  
 მამასა, ძეს, სულსა წმიდას  
 სასოებდენ, მას მაღლობდენ.

მთელი ღამე ღაღადება  
 შენოდათ ვით ანგელოხსა,  
 მიმოგდებით უგალობდენ  
 ტკბილად „კირიელეისონსა“...  
 მოციქულთა, გალობა და  
 რა ეს ღოცვა დაასრულა,  
 ღვთისმშობელმა, ვით მისმა ძემ,  
 «ფერხთა ბანა» შეასრულა.  
 მით გვაჩვენა, ჩვენცა გვექანდეს  
 სიმდაბლე და სიყვარული,  
 ერთმანერთის მორჩილება,  
 ერთობრივი სიხარული...  
 აქ ფილიპემ ღვთისა დედას  
 სიტყვა ჰკადრა მოწიწებით:  
 «დრო არს აწვე და ინებოთ  
 აღსვლა ზეცად თქვენის ნებით...  
 ანგელოსნი ცათა შინა  
 სდგანან შენდა მაღიდებლად,  
 მაცხოვარი გელოდება,  
 მზად არს შენდა შესატკობლად.  
 შენმა ძემან ვითარ კაცმან  
 ჰპოვა გემო სიკვდილისა,  
 შენც იგემე აწ სიკვდილი  
 მსგავსად შენგან გაზდილისა.  
 — თუ ძე ჩემი ერთად თქვენთან  
 ხილვად ჩემდა არ მოვიდეს,  
 მე არა მსურს სული ჩემი  
 ხორცისაგან, რომ განვიდეს...  
 აბრამ, ისაკ, იაკობ და  
 სიმეონი ღვთის მიმქმელი,  
 ახარებდა ღვთისა დედას:—  
 «მოვალს ქრისტე სოფლის მხსნელი».  
 ამ დროს, ზეცით, საოცარი  
 ქექა, გრგვინვა ატყდა დიდი,  
 მსმენელთათვის საშიშარი,  
 საბრთხობი და მოსარიდი.  
 ძრწოდა ცანი და ქვეყანა,  
 ასტყდა მძაფრი ქარი, ელვა,  
 მეხთა ტეხა და გრივალი  
 და სასტიკი ზღვათა ღელვა.  
 კვლავ მოისმა ხმაცა ტკბილი  
 და გალობა წმიდა არსის,  
 თან ხუილი გაშლილ ფრთების  
 ზეციერთა ძალთა დასის.



## IV

აჰა, ოთხთა ანგელოზთა  
დაასვენეს წმიდა ჯვარი,  
რომლის ირგვლივ უთვალავი  
ანგელოზთა გუნდთა ჯარი,  
ღალღებდენ ტკბილის ხმითა:  
ერთ არს მამა, ერთ არის ძეო:  
ამინ! ერთი არის სული წმიდა,  
სასოება, სიმტკიცეო...

აქ უეცრად გამოცხადდა  
მიუწომი, ვინმე ერთი,  
სიქედული მორწმუნეთა,  
მაცხოვარი, ქრისტე, ღმერთი.  
და იქ მყოფთა განუცხადა:  
«მშვიდობა, თქვენ ყოველთაო,  
«კაცთა ხსნის და მშვიდობისთვის  
«ღღე ყოველ-ჟამ მთხოველთაო.  
«სად არს! სად არს! ღელა ჩემი,  
«ხორციელად, რომ მზრდილაო!  
«ძუძუსა რომ მაწოებდა,  
«მინახავდა მე რძითაო.  
«მშვიდობა შენდა, ღელაო»,  
«ღედოფალო ზეცათაო,  
«აჰა გვირგვინი ბრწყინვალე,  
«ღიდებო ღელათაო.  
«ითხოვე, რაც გნებავს ჩემგან,  
«შენი სურვილის და ნების,  
«რასაცა მთხოვ, ჩემგან ყველა  
«უეჭველად აღსრულდების.  
— მარიამ რქვა: «ძეო ჩემო,  
«ტკბილო, ღმერთო, ზეციერო,  
«თვით შენ უწყი, რასაც ვითხოვ,  
«დაფარულთა მეცნიერო!  
და მარჯვენა ხელი უფლის  
«შეიტკბო და ეამბორა,  
სიხარული აორკვეცა,  
«წუხარება მოიშორა.  
ქრისტემან რქვა: «მოვედ შენთვის,  
«ჰე აღმზრდელი და ღელაო,  
«მსურს ჩემთანა წარგიყვანო,  
«ჩემთანავე იდილოვო  
«გვრგვინოსან გყო ჩემთანა,  
«ღიდებისა გვირგვინითა,

«იხარებდე და იშვებდე,  
«ზეციერის განცხრომითა.  
«რაც ითხოვო, ყოველივე  
«მოგენიჭოს ჩემგან სრულად...  
«შენი ძე ვარ, ჯვარცმის დროსა  
«რომ მხედვილი განბასრულად...  
მარიამ რქვა: «ეუწყი მეცა  
«ძე ხარ ჩემი საყვარელი,  
«კაცთა ხსნისთვის თავს იღვევი  
«შენ სიკვდილი საკვირველი.  
«მეც მათთვის გთხოვ: შეიბრაღე,  
«ააწორე მათ წვალება...  
«ცოდვები აპატივე  
«უყავ დიდი მოწყალება.  
ამა თხოვნას მოწყალებით  
ისმენდა თვით მაცხოვარი,  
და ქალწულსა აღუსრულა  
ყველა მისი სათხოვარი.  
ანგელოზნი განკვირვებით  
ღალღებდენ ღვთის ქებასა,  
რომ ეს დიდი სათხოვარი  
აღუსრულდა ღვთის ღელასა:—  
«აწ, უაღრეს ანგელოზთა  
«არს ბუნება ღღეს კაცთაო,  
«ღიდება შენ, ღმერთო ჩემო,  
«მეუფეო ზეცათაო.  
ქრისტემან რქვა: «ჰი, ღელაე!  
«შენი წარყვანების დროა,  
«სადაც შევების, სიხარულის,  
«გუფუნების სამკვიდროა.  
«მე აღგიყვან ჩემის ხელით  
«ბჭეთა თანა ზეცისათა,  
«ნებისაებრ მამასათა  
«და სულისა წმიდისათა.  
«იქ ურიცხვნი ანგელოზნი  
«მიგელიან ქვეყნის მნათსა  
«და ღიდებით მიგიღებენ  
«ვითარ ღედოფალსა მათსა.  
«ვითარცა მე, ვგრეთ შენცა  
«განუხრწნელ გყო მიწისაგან,  
«განესწმედ შენ ზედ მსასოებელს  
«ცოდვისა და ბიწისაგან».   
მარიამ რქვა: «მეუფეო!  
«ედრწი, მეშინის სიკვდილისა.



«შევედრე სული ჩემი,  
 «სული შენის აღმზრდელისა.  
 «და უბრძანე ანგელოსთა  
 «კანდენოს და გარდაყაროს,  
 «პაერისა იგი მცველნი,  
 «ალარა სწიღეს ცის სამყაროს».  
 ქრისტემან სწრაფლ წარავლინა  
 მიხაილ და გაბრიელი,  
 რქვა მათ: «წარვედ, გარდაყარენ  
 «პაერთ მცველნი, განმკითხველნი.  
 «ღვთის მეტყველეთ სიხარულით  
 «ჩემი ღვდის წაყვანება».  
 და მათ წამ.ეე აღასრულეს  
 მაცხოვრისა ეს ბრძანება.  
 რა ანგელოსთ ღვთისა ქება  
 იწყეს ხმითა მოსალხენით,  
 ღვთის მშობლისა სული, თვით ძემ  
 წარიყვანა თვისის ხელით...  
 ღვთისა ღვდა დაეკვიდრა  
 ზეციერსა დიდებასა,  
 სულით, ხორციით განუბრწველი  
 ჩვენთვის ითხოვს მშვილობასა.

## V

ობლად შთენილ მოციქულთა  
 ილოცეს და ცრემლი ღვარეს,  
 იგონებდენ ღვთისა ღვდას,  
 მთელი ღამე იმწუხარეს.  
 გათენდა დღე პარასკევი  
 საამური იყო დარი,  
 მოციქულთა განუმზადეს  
 ქალწულისა გვამი ცხედარი.  
 საონიღვან გეთსამანის  
 ბაღში სურდათ წაყვანება,  
 ღვთისგან ჰქონდათ ნაბრძანები;  
 ასე იყო უფლის ნება.  
 წაემკზავრენ მცხედართურთ,  
 ბალისაკენ სწიანდენ მეღელად,  
 რადგან ჰქონდათ იქ საფლავი  
 მზათ, ქალწულის დასაფლაველად.  
 ამ დროს ბილწთა, გულით ბრმათა,  
 უმაღლოთა, უბერთა,  
 განიზრახეს საქმე ცუდი,  
 ურიათა უკეთურთა.

უნდოდათ, რომ ქალწულისა  
 გვამი ცხედრით წარეტაცათ,  
 და დაეწვათ იგი ცეცხლში,  
 გარდასწყვიტეს ასე მკაცრად!  
 შეკრბენ მახვილ-წათებითა,  
 წინ გაღუღენ კუბო-ცხედარს,  
 მაგრამ, მტერსაც ნუ დამართავს,  
 რაც შეემთხვა იმათ მხედარს!  
 ერთმა ვინმე იოფანემ  
 სხვებს მიასწრო, მიემურა,  
 მანკიერის ხელით ცხედარს  
 შეხებოდა, მოესურვა.  
 უხილავად მას ხელები  
 ორი მკისვე მოეკვეთა,  
 და ვით მკვლარი, უგრძობელად  
 იქვე მეღვრად დაეკვეთა.  
 რა ეს ნახეს ურიათა:  
 რახნვა ზეცით მოვლენილია,  
 შეშინდენ და შეძრწუნდენ  
 იგრძნენ ცოდვა მთგან ქმნილი.  
 შევედრენ მოციქულებს:  
 «მოგვისმენდეთ სათხოვარსო,  
 «შეგვავედრეთ ქალწულსა და  
 «მასსა ძესა მაცხოვარსო.  
 «იოფანეს ხელი მართულ ჰყოს,  
 «როგორც ჰქონდა პირველადო,  
 «მაშინ, ქრისტეს ღვთად ვირწმუნებთ  
 «და მის ღვდას ღვთის ღვდადო».  
 დაეთანხმა მოციქულნი,  
 აპატრევს უმეცრება,  
 და დაუწყეს ცხარე ცრემლით,  
 ქალწულს თხოვნა და ვედრება:  
 «ღვდოფალო! უმეცართა,  
 «აპატრევე უმეცრება,  
 «მოკვეთილთა იოფანეს  
 «ხელთა, მიეც განკურნება.  
 «რომ ამით სცნან შენგან დიდი  
 «სასწაული საკვირველად.  
 «გირწმუნონ და მუდამ დაშთენ  
 «შენად მაქებ-მაღიღებლად.

რ. საჯახელი.

(დასასრული შემდეგ №-ში)





# სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

## საეჭვო კითხვების განმარტება.

(სამღვდელო პირთა საყურადღებოდ).

### მამა რედაქტორა!

სშირად ხდება, რომ ერთ ეკლესიასზედ რა და სამი მღვდელა იყოს მწიროვლა და ეკლესიის ცალკე მწიროვნე იყვნენ გაზღვატყალებულთათვის. რაგორ უნდა მოიქცნენ მოხსენების, შეგვიწყალენის თქმას დროს, რადესაც მთავარ-დაიკენით სწიროვნე, ანუ უმთავარ-დაიკენად?

რადესაც ერთსა და იმავე ეკლესიასზედ მსახურებს რა ან სამი მღვდელა, შტატის წყობილებასამებრ, და რიგ-რიგობით სწიროვნე ხალხე, ამ რაგისა გამოს შეუძლია თუ ანა რამეღამე მღვდელს, რომ კვირას-უქმე დღეებში წიროვ-ლოცვისაგან თავი განათავის-სუფლოს?..

ბ. გ. ბ.

პირველი კითხვის შესახებ არა უნდა ვთქვათ: ჩვენ დავესწარით წიროვანე ქალაქ მოსკოვის ერთ მონასტერში. აქ ორი მღვდელი იყო მწიროვლი მთავარ-დაიკენით და ეს დღე იყო სულთაობის შაბათი. მთავარ დიაკონმა მკარე «შეგვიწყალენ»-ზედ მოიხსენა რიგისამებრ და სახელ ღობრ ათაოღე გარდაცვალებული და იმნაირადვე მოიხსენა წინამძღვარმაც. ეს შეგვიწყალენი რომ გაათავეს, მთავარ-დაიკონმა განმეორებით დაიწყო კიდევ «შეგვიწყალენ»-ნი დამოიხსენა სხვა გარდაცვალებული. ამ მეორე «შეგვიწყალენ»-ზედ ასამაღლებელი მეორე მღვდელმა თქვა და ის გარდაცვალებულიც მან მოიხსენა. ამ არა უწყე-ულთა შეგვიწყალენის მეორეჯერ წარმოთქმამ გამაკვირვა. მაგრამ უარესად გავკვირდი, როდესაც ეს

მკირე შეგვიწყალენი ოცდაათჯერ გაიხეორას კიდევ მასამაღლებელი სთქვეს გარდაცვალებულების ცალ-ცალკე მოხსენებით. წიროვის შემდგე კითხე წინამძღვარს და მან არა მიპასუხა: «ერთ შეგვიწყალენში პირველმა მღვდელმა შეიძლება რამოდენიმე გარდაცვალებული მოიხსენოს, მაგრამ მეორე მღვდელს შეუძლია, თუ ცალკე მწიროვლია, განმეორებით ათქმეინოს მთავარს ან თითოთ თქვას, თუ მთავარი არ არის. დანარჩენები რომ ცალკალკე მოიხსენეთ, ეს იმიტომ, რომ ყველა ამ გარდაცვალებულთა დიდი ფულები აქესთ შეწირული მონასტრისთვის და მონასტერი თათქმის მათა თანხით იწახება. რიგი და სამართალია ცალ-ცალკე მოიხსენონ ისინი და ჩვენც სულ ცალ-ცალკე ვიხსენიებთ». ჩვენის აზრით აქ არავის წინააღმდეგი არ უნდა იყოს რა. თუ კი ყველა მღვდელს აქეს უფლება კვეთოს და მოიხსენიოს, ვისაც მწიროვლია, რატომ არ უნდა ჰქონდეს უფლება ცალკე მოიხსენიოს «შეგვიწყალენ»-ის განმეორებით? ყოველს შემთხვევაში ძლიერ საჭიროა ყველა ამისთანა კითხვები ჯეროვანის წესთა განმარტოს სასულთაერო მართებლობისაგან. ასი წელი და მეტიც გადის ადერ, რომ სამღვდელოებას ადგილობრივი კრება არ ჰქონია ძველებურად. ას წელში იმდენი ცვლილებანი მომხდარან, რომ საჭიროა ადგილობრივი კრება, თუ მსოფლიო არა.

მეორე კითხვის შესახებ არა ითქმის: როდესაც ორი ან მეტი მღვდელი ერთად ემსახურებიან რიგ-რიგობით და თითო კვირაობით, ეს რიგ-რიგობით და თითო კვირაობით სამსახური სრულებით არანთავისუფლებს მღვდელს, რომ წარვა-ლოცვას თავი დაანებოს კვირას-უქმე დღეებში, თუ რამე შესაწყნარებელი მიზეზები არ აბრკოლებს მას. რიგ-რიგობითი სამსახური მღვდელს ათავისუფლებს წიროვ-ლოცვისაგან სადა დღეებში მარტო... ხშირად მოხდება ხოლოცე თურმე ისიც, რომ ორი მღვდელი ერთად არ წარავს იმა მიზეზით, რომ არ უნდა თავი დაიმდბლოს და საზოგადოებას აჩვენოს, რომ ერთი მათგანი პირველია და მეორე უნცროსია!.. მეორე მღვდელი, რომელიც ამისთანა შეუფერებლის თანამოყვარეობით არის გამსჭვალული, იპისი სამსახური როგორი უნდა იყოს, მარტო წიროვს, თუ პირველთან!.. ეკლესიაში ღეთოს მახურებას დროს ყველას უნდა ახსოვდეს მაცხოვრის სიტყვა უნცროს-უფროსობაზე..





მესამე კითხვის შესახებ ძნელია პასუხის მოცემა. მართალია, ეხლანდელ დროში შემოიღეს წირვა მღვდლისაგან უზიარებლად, როდესაც, მაგალითებზე, საჭიროა ოთხი და ხუთი მღვდელი იდგეს მწირველად. მაგრამ ვერ მიმხედარებართ კიდევ, თუ რისთვის ჩადიან ამას? კანონებში ამისთანა მწირველ მღვდლებზე არა არის რა ნათქვამი. სინდისი და გონება კაცისა რა-ღაც წინააღმდეგია ამ საქციელისა და ამისათვის, ჩვენს აზრით, არ უნდა შეიძლებოდეს, მღვდელმა მიიღოს მონაწილეობა წირვაში უზიარებლად...

ამაო რედაქტორო!

სხვა მრავალ პირთა შორის მეც მოაქცევა თქვენდამი ერთი საეკლესიო კითხვით და, იმედა, ამ კითხვას საუფროდთად განმარტებთ და გამგეობისათვის საფლას უკვლავ მღვდლებს გასაჭირისაგან. აი საქმე რაში მდგომარეობს: ამ ჩვენს იმეკეთის ეპარქიაში ხალხს თავის ჩვეულებისა მებრ საკურთხე მთაქვს ეკლესიასაზედ შობის, აღდგომის, სულთაობის, სხვა ზოგიერთ დღეებში და განსაკუთრებით შაბათობით. უკველ გარდაცვალებულის პატრონს სუკს, რომ ეს საკურთხე მღვდელს თავის მიცვალებულის საფლავზე აკურთხებინოს. ხშირად მოხდება, რომ მღვდელს ოც და ოცობც საფლავზე შესვდეს «საკურთხის» კურთხე-გა სულ ცალცალკე, რადგან ზოგიერთები ბეთხოვენ, რომ უთუოდ საფლავზე იქნეს ნაკურთხე საკურთხე. ნუ თუ მღვდელი ედებუღია, რომ უკვლავ ცალცალკე უკურთხოს საკურთხე და ისიც უსასუიდად?

ერთი სემინარიელთაგანნი მღვდელი.

«საკურთხის» კურთხევა სულ ძველი დროიდან არის შემოღებული. ეს ჩვეულება, როგორც ჩვენი სარწმუნოებაც, გადმოღებულია საბერძნეთის ეკლესიიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში, როგორც ზოგიერთი სხვა ჩვეულებანი, ისე ეს ჩვეულებაც ისე წაირად არის გადასხეფერებული, რომ თავისი მნიშვნელობა სრულებით დაკარგული აქვს და ამაო ჩეულებათა აღსრულებას დამგანებია. ავილოთ, თუ გინდ, «საკურთხის»: ხალხს ძლიერ კარგად ესმის ის

სიტყვები, რომელსაც მღვდელი წარმოსთქვამს «საკურთხის» კურთხევის დროს და ამისათვის ის მზად არის უკიდურეს გაჭირების და სიღარიბის დროსაც თავის გარდაცვალებულის საფლავზე საკურთხე აკურთხოს. გლენს სურს, რომ ეს სიტყვები «საკურთხის» კურთხევის დროს მოამინოს თავის გარდაცვალებულის საფლავზედ და არა სხვაგან. ჭირისუფლის ნატერა ამ შემთხვევაში საფუძელიანია, და მღვდელს უფლება არა აქვს ამ თხოვნაზე უარი უთხრას მსურველს, რამდენიც უნდა იყენენ იგინი. მრველი მღვდელს სთხოვს მღვდელ-მოქმედების წესის შესრულებას და მღვდელს როგორ შეუძლია უარი უთხრას მას ამ წესის და ჩვეულების შესრულებასზედ? მაგრამ თუ ამ წესის შესრულების შესახებ მღვდელი რაიმე კანონიერ დაბრკოლებას ხედავს, ხედავს იგი, რომ მშვენიერი ეკლესიური წესი და ჩვეულება სრულებით რალაც ამოდ-მორწმუნობას დამაგავსებია, ხედავს, რომ ამ წესის ასრულებას არავითარი სარგებლობა, არც სულიერი და არც ხორციელი, არა მოაქვს რა გარდაცვალებულისა და ჭირისუფლისათვის, ხედავს, რომ მისი შრომა სრულებით დაუფასებელია და არაინ ყურადღებას არ აქცევს მას, მაშინ შეუძლია მღვდელს ხმა აღიმალლოს და ყველა-საგან მოითხოვოს წესიერი და რიგიანი ჩვეულების აღსრულება, შეუძლია და სრული უფლებაცა აქვს აღუკრძალოს მრველს ამოდ მორწმუნეობითი ჩვეულებანი და მოითხოვოს იმ წესის და რიგის ასრულება, რომელიც დაწესებულია მიცვალებულთათვის.

რა არის საკურთხის კურთხევა, რომელსაც ასე გულით გეთხოვს ხოლმე მრველი? პანაშვილის გარდახდა. შეუძლია თუ არა მღვდელს, რომ მან ამ პანაშვილს გარდახდაზედ უარი უთხრას მრველს და ისიც საფლავზე? სრულებით არა. რუსეთში თვითონ მღვდლები ურჩევენ მრველს, ხშირად იხადონ პანაშვილები გარდაცვალებულთათვის და ჩვენში უარს ეუბნებიან! დასავლეთ საქართველოში ძველ დროში ამ პანაშვილის შესრულებისათვის მღვდელს აძლევდნ საშრომელს ხორაგეულობით და არა ფულად და დღესაც ასე იციან ბევრგან. დიდი ხანია, ქუთაისის გუბერნიაში სიმინდისა და ღვინოს მაგიერ ორო-ორი მანეთი გაუჩინეს მღვდლებს თვითოეულ კომლზე. ამ



ორ მანეთში მღვდელი ვალდებულია წირვა-ლოცვა ასრულოს კვირა-უქმე და სხვა დღესასწაულებზე შტატის ეკლესიაზედ, აზიაროს ხალხი საჭიროების დროს და მონათლოს. დანარჩენი მღვდელ-მოქმედება, რაიცა შეხვედბა მრევლს ასასრულებლად მღვდლისაგან, ყველაზე, თითქმის, ნიხრი არის დადებული. „საღმრთო წირვისათვის, თუ ძველებურად ეძლევა მღვდელს სასმელ-საჭმელი, მთავრობის გარდაწყვეტილებაში დადგენილია ერთი აბაზი უნდა მიეცეს საწირავად და თუ ხორაგეულობა არ ეძლევა მღვდელს, მაშინ ერთი მანეთით. აღდგომას ჩამოვლანედ ან ძველი ჩვეულებით უნდა მისცენ მღვდელს ხორავი და ან ფულით საჩუქარი. პანაშვიდის შესრულებისათვის საკუთხის კუროთხევის დროს მღვდელს უნდა მისცენ ნახევარი საკუროთხისა... ჩვენში ნახევარს კი არა ზოგიერთი სრულებით არაფერს არ ალევს მღვდელს, ან მისცემს ერთ ტაბლას და ქათმის ერთ ფრთას ან ბარკალს და ჰგონია, რომ მღვდელი მეტად დაასაჩუქრა! აი როგორი ჩვეულება არის ამ საგნის შესახებ რუსეთში და ბევრგან ქართლ-კახეთშიაც: როდესაც გარდაცვალებულისათვის პანაშვიდს ახდენენ მღვდელს, ეკლესიაში იქნება, ეს თუ საჟღავნედ, მიუცილებლად წანდილი უნდა მიიტანონ. ამ წესის ასრულებისათვის მღვდელს უნდა აჩუქონ ერთი აბაზი დამ მანეთამდის და თუ ერთად ბევრნი შეკრებილან და ერთად იხდის მღვდელი მცირე პანაშვიდს, მაშინ თითოეული პირი აძლევს მღვდელს ორ-ორ შაურს და არავინ არ იკადრებს მღვდელი ტყვილად აშრომოს. ეკლესიის ტიბიკონით საჭიროა წანდილი, ან ხვარბლის თესლი, რომელიც ანალოგიაზე უნდა იყოს დადგმული პანაშვიდის გარდახდის დროს. ძველ დროში შეძლებულნი პირნი ამხადებდენ სასმელ-საჭმელსაც და გზაენიდენ ეკლესიაზედ. ეს სასმელ-საჭმელი ეკლესიის მოსამსახურეთა, გლახაკთა და გაჭირვებულთა საზრდო იყო, რომელნიც ეკლესიაზე იყენენ ხოლმე თავმოყრილნი. ან თუ გაჭირვებულები ეკლესიაზედ არ იყენენ და სოფლებში ეგულებოდათ, იქ გაუგზავნიდენ. ჭეშმარიტად შევიერი დანიშნულება ჰქონდა იმ ძველ დროში

«საკუროთხებს», მაგრამ ეხლა რას ვხედავთ, როგორ ასრულებენ ამ ჩინებულ ძველ ეკლესიურ წესს?

უნდა გამოტეხილად ვთქვათ, რომ ზოგიერთ უსწავლელ მოხუცებულ პირთა წყალობით დღეს ნასწავლ მღვდლებს დიდი უსიამოვნება მოხდისთ «საკუროთხების» შესახებ და ეს შეწინააღმდეგეა იმ ცუდათ სრულდება, რომ მას ნახევრობით დაკარგული აქვს თავისი შეწინააღმდეგე მნიშვნელობა. ხშირად მოხდება, რომ საცოდავი ღარიბი და ღატაკი სნეული მოკლებულია თავის ღარიბობით ხორცის საჭმელს, სიცოცხლეში არ გაიმეტებს ერთ უბრალო საკლავს თავის ოჯახობისათვის. მაგრამ გარდაიცვლება თუ არა, მის «სულის საქმეზე» რაც საქონელი გააჩნიათ, სულ დახოცვენ. მღვდელს შეატყობინებენ, რომ სულის საქმეს ემხადებიან და სწირავენ თუ არა იგი გარდაცვალებულისათვის, მათთვის ერთია! უპირველესად სულის საქმეზედ ის მიაჩნიათ, რომ მღვდელმა საკუროთხის ერთად თავმოყრალი სასმელი და საჭმელი, ამ საჭმელებთან ერთად არის ტყავი საქონლისა, თავფხები დაუწმენდელი და შიგნეულობა დაკლულ ცხოველებისა. ყველა ამებზედ სანთელი უნდა დაანთონ და მღვდელმა პანაშვიდი უნდა გარდინადოს! ეს შეიძლება? განა მღვდელმა არ იცის, რომ ამ სასმელ-საჭმელზე და წელებზე პანაშვიდი არ გადინდება? იცის, რასაკვირველია, მაგრამ არ უნდა აწყენიოს მრევლს, არ სურს მისი რწმენა შეარყიოს... მაგრამ ეს უადგილო შიშია. მღვდელი ამ შემთხვევაში ხელს უწყობს და ამტკიცებს მანებელ ამაოდ მოაწმენებას ხალხში. დღემდის, მართალია, ძნელი იყო ერთი და ორი გამოსულიყო სამღვდლოებაში საზოგადო ზოგიერთ მანებელ ჩვეულების წინააღმდეგ, მაგრამ დღეს, მადლობა ღმერთს, ბევრგან არის სემინარიელები და იმედია, რომ იგინი ერთბაშათ მისცემენ ხმას თავიანთ მოძმეთა და ჩვენს ეკლესიურ წესებს რიგინად დააწყობენ და ამ წესებიდამ ყველა მანებ და ამაო ჩვეულებათა განდევნიან და იხსნიან ჩვენ ხალხს გაღარიბებისაგან. საკმაოდ არის განმარტებული ჩვენგან «სულის მოსახსენებელ კონდაკში» ყველა სულის საქმის წესების აღსრულება და ყველა მღვდელთათვის საკმაოდ ეს წიგნი სამწყაოთა დასარიგებლად.

რაიცა შეეხება მღვდლის ვალდებულებას საკუროთხის კუროთხევის შესახებ, ერთად იქნება ეს თუ ცალკე საფლავებზედ, მღვდელს არა აქვს უფლება,



რომ უარი უთხრას ზრეცლს საფლავზედ პანაშვი-  
ლის გარდახდაზე, მაგრამ მრეცი ვალდებულია ნახე-  
ვარი საკუთხისა მისცეს მღვდელს. თუ მრეციმა  
საკუთხისად ნახევარი არ მისცა, მაშინ გარდაცე-  
ლებულის პატრონს ვალდ ედება პანაშვილის გარდა-  
ხადვლად ორი შაურდიამ ორ აბაზამდის მისცეს  
მღვდელს. სხვა ეპარქიებში პანაშვილისათვის ერთ  
მანეთამდე აძლევენ მღვდელს. ყოველ შემთხვევაში  
მღვდელი ვალდებულია წანდრი ღოთხხოვოს და  
ანალოგიანე დასდგას, რადგან ამ წანდრის სხვა ღრმა  
მნიშვნელობა აქვს პანაშვილის გარდახდის დროს,  
რომელიც ყოველმა მღვდელმა იცის და მრეცლსაც  
უნდა განუმარტოს.

ბეჭვდით სიტყვას გარდა ჩვენ ოფიციალურად  
გვსურს აღვძრათ ამ საქმეს შესახებ კითხვა და სრული  
იმედი გვაქვს, ოფიციალური განკარგულების შემდეგ  
სანდვდლოება ვალდებული იქნება ჩააგონოს მრეცლს  
და შეატყობინოს, თუ როგორ უნდა სრულდებოდეს  
«საკურთხის» კურთხევა და რა მნიშვნელობა აქვს  
მას. თუ მოძღვარმა ჩააგონა და შეატყობინა სამ-  
რეცლოს «საკურთხების» ანგარიში და მნიშვნელობა,  
მაშინ ის ადვილად მიიღებს საშრომს და მრავალ  
მანე ჩვეულებასაც მოსპობს.

ლოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და  
მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და  
სარწმუნოებისა და 4) აუხნას და განუმარტოს  
სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზო-  
გიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცი-  
ლებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი  
მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა  
ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა  
არის— 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და  
საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერე-  
სო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააც-  
ნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას სა-  
ქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპე-  
რიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წო-  
დება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს  
რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

**ფ ა ს ი ქ უ რ ნ ა ლ ი ს ა :**

12 თვით «მწყემსი» 5 მ. | 6 თვით «მწყემსი» 3 მ.  
— ,, ორივე გამოცემა » — ,, ორივე გამოცემა 4 »  
— ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 მ.

სოფლის მასწავლებელთ გაზეთები დაეთმობათ  
მთელის წლით სამ მ ა ნ ე თ ა დ .

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვი-  
ლების სახლებში და ყვარდალაში რედაქტორის საკუთარ  
სახლებში.

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც  
ყვარდალაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

ბარემ მცხოვრებთა ქურნალის დაბარება შეუძლიათ  
ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и  
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

გვიღება ხელის-მოწერა 1894 წლისათვის ორ  
კვირულ გამოცემათა ჰართულს

**„მწყემს“ - ზე**



რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყო-  
ბინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა გან-  
კარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო  
და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და  
მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასუ-  
ლიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა  
და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვ-  
რების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართვე-

1894 წლის «მწყემსი»-ს  
ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურთებდათ  
მოზრდილი მხატვრობა

**თავარ მეზის.**

მხატვრობა წარმოადგენს იმ დროს, როდესაც  
შოთა რუსთველი მიართმევს თამაძს თავის  
უკვდავ პოემას «ვეფხისტყაოსანს». ამ მხატვრობაზე  
იქნება დახატული თვით შოთა რუსთველი და თამაძის  
მხლებლებიც იმ დროის ტანთ-საცმელში.